ფორსმაჟორული გარემოების შეწყვეტის ან/და დასრულების შესახებ წინასწარ შეტყობინების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის25 აგვისტოდან 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

**მუხლი 13. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეფრემოვკის საჯარო სკოლა<br>ს/კ 236688802<br>მის. : სოფელი ეფრემოვკა<br>ტელ:551085585<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა №GE24LB0121143243882000<br><br>დირექტორი / ნვარდ სოგომონ<br>(ხელმოწერა) | შპს „დიანა“<br>მის. ქ.ნინოწმინდა,ერევნის ქ.#12<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ნ GE12LB0113145043938000<br>ს/კოდი 236689491<br><br>დირექტორი / არამაის ზდოიან<br>(ხელმოწერა) |